წესები და პირობები

14/09/2026

გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ მოცემულ წესებსა და პირობებს (შემდგომში „**წესები**“), რომლებიც არეგულირებს თქვენს „თიბისი მობაილბანკის ინვესტიციები - აქტივაციის კამპანიაში“ (შემდგომში - „**კამპანია**“) მონაწილეობას. აღნიშნული **კამპანიით** სარგებლობით, თქვენ სრულად აცნობიერებთ და ეთანხმებით წინამდებარე **წესებს.**

1. **კამპანიის აღწერა**

1.1 **კამპანია** ორგანიზებულია შპს თიბისი კაპიტალის (ს/ნ: 204929961) (შემდგომში - „**თიბისი კაპიტალი**“) მიერ.

1.2 **კამპანიის** ფარგლებში მონაწილეს, რომელიც სრულად აკმაყოფილებს წინამდებარე **წესებით** დადგენილ პირობებს, დაუბრუნდება სს „თიბისი ბანკის“ (ს/ნ: 204854595) მობაილბანკის ინვესტიციების პლატფორმაზე (შემდგომში „**თიბისი მობაილბანკის ინვესტიციების პლატფორმა**“) აშშ-ის ბაზარზე 2026 წლის 01 ოქტომბრის 00:00 საათიდან 2026 წლის 31 დეკემბრის 23:59 საათის ჩათვლით (**ქეშბექის დათვლის პერიოდი**) განხორციელებულ შესაბამის ტრანზაქციებთან დაკავშირებით დარიცხული და მონაწილის მიერ გადახდილი საკომისიოების 100% ქეშბექის სახით (შემდგომში „**ქეშბექი**“), წინამდებარე **წესებით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

1.3 წინამდებარე **წესების** 1.2 პუნქტით განსაზღვრული **ქეშბექის** გარდა, **თიბისი კაპიტალი** უფლებამოსილია მონაწილეს გადასცეს ერთჯერადი Welcome Bonus (შემდგომში „**Welcome Bonus**“), რომელიც გაიცემა <u>შეზღუდული რაოდენობით</u> და რომლის ოდენობა და გაცემის პირობები განისაზღვრება წინამდებარე წესებით.

1.4 **კამპანია** ვრცელდება მხოლოდ **თიბისი მობაილბანკის ინვესტიციების პლატფორმაზე** აშშ-ის ბაზარზე განხორციელებულ შესაბამის ტრანზაქციებზე. <u>აშშ-ის ბაზარზე 5 (ხუთი) აშშ დოლარის ან ნაკლები საბაზრო ღირებულების მქონე ფინანსური ინსტრუმენტებით (Penny Stocks) განხორციელებული ტრანზაქციები/ოპერაციები, დიდი ბრიტანეთის ბაზარზე განხორციელებული ტრანზაქციები, დიდი ბრიტანეთის საინვესტიციო ანგარიშზე ფულადი სახსრების განთავსება, დიდი ბრიტანეთის საინვესტიციო ანგარიშთან დაკავშირებული ოპერაციები და სმარტ პორტფელის ფარგლებში განხორციელებული ოპერაციები/ტრანზაქციები **კამპანიის** ფარგლებში არ გაითვალისწინება.</u>

2. **კამპანიის ვადები**

2.1 **კამპანიაში** ჩართვისა და წინამდებარე **წესებით** გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილების პერიოდი: 2026 წლის 15 სექტემბრის 00:00 საათიდან 2026 წლის 30 სექტემბრის 23:59 საათის ჩათვლით (შემდგომში „**კამპანიაში ჩართვის პერიოდი**“).

2.2 **ქეშბექის** დათვლის პერიოდი: 2026 წლის 01 ოქტომბრის 00:00 საათიდან 2026 წლის 31 დეკემბრის 23:59 საათის ჩათვლით (შემდგომში – „**ქეშბექის დათვლის პერიოდი**“). აღნიშნული გულისხმობს ვადას, რომლის ფარგლებშიც განხორციელებული ტრანზაქციების საკომისიოები მონაწილეს დაუბრუნდება **ქეშბექის** სახით წინამდებარე **წესების** შესაბამისად.

3. კამპანიაში მონაწილეობის პირობები

3.1 **კამპანიაში** მონაწილეობის მისაღებად პირმა **კამპანიაში ჩართვის პერიოდში** უნდა შეავსოს **კამპანიაში** მონაწილეობის სპეციალური ელექტრონული ფორმა (TBC Investments | სპეციალური შეთავაზება – Fill out form) (შემდგომში „**ელექტრონული ფორმა**“) და მიიღოს **თიბისი კაპიტალის** მხრიდან **კამპანიაში** მონაწილეობის დადასტურება.

3.2 წინამდებარე **წესების** 3.1 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შესრულებასთან ერთად (**თიბისი კაპიტალის** მხრიდან **კამპანიაში** მონაწილეობის დასტურის მიღებასთან ერთად), **კამპანიაში** მონაწილეობის უფლება აქვს ფიზიკურ პირს, რომელიც აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ კრიტერიუმს:

3.2.1 **კამპანიაში ჩართვის პერიოდში** პირველად გახსნა საინვესტიციო ანგარიში **თიბისი მობაილბანკის ინვესტიციების პლატფორმაზე** და აღნიშნულ პერიოდში აშშ-ის ბაზრის შესაბამის საინვესტიციო ანგარიშზე განათავსა არანაკლებ 10,000 (ათი ათასი) აშშ დოლარის ოდენობის თანხა ან არანაკლებ 10,000 (ათი ათასი) აშშ დოლარის ღირებულების ფინანსური ინსტრუმენტები; ან

3.2.2 2026 წლის 01 მარტის 00:00 საათიდან **კამპანიაში ჩართვის პერიოდის** დაწყებამდე არ უსარგებლია **თიბისი მობაილბანკის ინვესტიციების პლატფორმის** საინვესტიციო ანგარიშით, რაც გულისხმობს აღნიშნულ პერიოდში საინვესტიციო ანგარიშზე ნაშთის (ფულადი სახსრების და ფინანსური ინსტრუმენტების) არქონას და ყიდვის ან/და გაყიდვის ტრანზაქციის არარსებობას და **კამპანიაში** ჩართვის პერიოდში აღნიშნულ საინვესტიციო ანგარიშზე განათავსა არანაკლებ 10,000 (ათი ათასი) აშშ დოლარის ოდენობის თანხა ან არანაკლებ 10,000 (ათი ათასი) აშშ დოლარის ღირებულების ფინანსური ინსტრუმენტები.

3.3 წინამდებარე **წესების** მიზნებისთვის, **თიბისი მობაილბანკის ინვესტიციების პლატფორმის** აშშ-ის ბაზრის საინვესტიციო ანგარიშზე ფინანსური ინსტრუმენტების განთავსება, მათ შორის, გულისხმობს სხვა ფინანსური ინსტიტუტიდან ფინანსური ინსტრუმენტების **თიბისი მობაილბანკის ინვესტიციების პლატფორმის** აშშ-ის ბაზრის შესაბამის საინვესტიციო ანგარიშზე განთავსებას. ამასთან, წინამდებარე **წესებით** განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილებად არ ჩაითვლება **თიბისი კაპიტალის** მიერ გაწეული საბროკერო ან/და საინვესტიციო მომსახურების ფარგლებში არსებული ნებისმიერი ანგარიშიდან ფულადი სახსრების ან/და ფინანსური ინსტრუმენტების გადმოტანა/ტრანსფერი. სხვა ფინანსური ინსტიტუტიდან ფინანსური ინსტრუმენტების გადმოტანის შემთხვევაში, აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტები სრულად უნდა აისახოს **თიბისი კაპიტალის** შესაბამის სისტემებში და მონაწილის **თიბისი მობაილბანკის ინვესტიციების პლატფორმაზე** აშშ-ის ბაზრის შესაბამის საინვესტიციო ანგარიშზე არაუგვიანეს 2026 წლის 30 სექტემბრის 23:59 საათისა.

3.4 **კამპანიაში** მონაწილეობის მისაღებად და **ქეშბექის** მიღების უფლების შესანარჩუნებლად:

3.4.1 მონაწილემ უნდა უზრუნველყოს, რომ 2026 წლის 30 სექტემბრის 23:59 საათის მდგომარეობით შესაბამის საინვესტიციო ანგარიშზე არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ჯამური საბაზრო ღირებულება **თიბისი კაპიტალში** შეადგენდეს არანაკლებ 10,000 (ათი ათასი) აშშ დოლარს და აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტები შეინარჩუნოს შესაბამის საინვესტიციო ანგარიშზე 2026 წლის 31 დეკემბრის 23:59 საათის ჩათვლით, მათი გაყიდვის, გატანის, გადატანის ან/და ტრანსფერის გარეშე. ფინანსური ინსტრუმენტების შემდგომი საბაზრო ღირებულების შემცირება, რომელიც გამოწვეულია

შესაბამისი ფინანსური ინსტრუმენტების საბაზრო ფასის ცვლილებით, თავისთავად არ იწვევს **ქეშბექის** მიღების უფლების დაკარგვას; ან/და

3.4.2 იმ შემთხვევაში, თუ მონაწილე **კამპანიის** პირობების დასაკმაყოფილებლად წინამდებარე **წესების** შესაბამისად საინვესტიციო ანგარიშზე განათავსებს ფულად სახსრებს, 2026 წლის 31 დეკემბრის 23:59 საათის მდგომარეობით შესაბამის საინვესტიციო ანგარიშზე განხორციელებული ფულადი სახსრების შეტანების ჯამურ ოდენობას გამოკლებული აღნიშნული პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ფულადი სახსრების გატანის ჯამური ოდენობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 10,000 (ათი ათასი) აშშ დოლარს.

3.5 წინამდებარე **წესების** 3.4 პუნქტით გათვალისწინებული ფინანსური ინსტრუმენტების გაყიდვის, სრულად ან ნაწილობრივ გატანის, გადატანის ან/და ტრანსფერის შემთხვევაში, ან/და 3.4 პუნქტით გათვალისწინებული ფულადი სახსრების ისეთი ოდენობით გატანის შემთხვევაში, რომლის შედეგადაც **ქეშბექის დათვლის პერიოდის განმავლობაში** ფულადი სახსრების შეტანების ჯამურ ოდენობას გამოკლებული გატანილი ფულადი სახსრების ჯამური ოდენობა 10,000 (ათი ათასი) აშშ დოლარზე ნაკლები იქნება, მონაწილე კარგავს **ქეშბექის** მიღების უფლებას მთელი **ქეშბექის დათვლის პერიოდისათვის**, მათ შორის იმ პერიოდისათვის, რომლის განმავლობაშიც იგი მანამდე აკმაყოფილებდა წინამდებარე **წესებით** დადგენილ პირობებს. აღნიშნული წესი მოქმედებს მიუხედავად იმისა, განხორციელდა თუ არა შესაბამისი ქმედება **Welcome Bonus-ის** ჩარიცხვამდე ან მის შემდეგ.

3.6 წინამდებარე **წესების** 3.4 პუნქტით გათვალისწინებული ფულადი სახსრების ან ფინანსური ინსტრუმენტების **კამპანიაში ჩართვის პერიოდის** დასრულებამდე სრულად ან ნაწილობრივ გამოტანის, გადატანის ან ტრანსფერის შემთხვევაში, მონაწილე ავტომატურად, ყოველგვარი დამატებითი შეტყობინების გარეშე, კარგავს **კამპანიაში** მონაწილეობის უფლებას და მასზე არ გავრცელდება წინამდებარე **წესებით** გათვალისწინებული **ქეშბექისა** და **Welcome Bonus-ის** გაცემის პირობები.

3.7 **კამპანიის** პირობების დასაკმაყოფილებლად წინამდებარე **წესების** შესაბამისად შესაბამის საინვესტიციო ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრები ან/და ფინანსური ინსტრუმენტები არ შეიძლება გადატანილ იქნეს ან/და გამოყენებულ იქნეს სმარტ პორტფელის ფარგლებში.

3.8 წინამდებარე **წესებით** გათვალისწინებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება განისაზღვრება მათი **თიბისი კაპიტალის** შესაბამის სისტემებში ასახული საბაზრო ღირებულების საფუძველზე, **თიბისი კაპიტალის** მიერ შესაბამისი შეფასების მომენტისთვის გამოყენებული მონაცემების შესაბამისად.

3.9 **კამპანიაში** მონაწილეობის უფლება არ აქვთ სს „თიბისი ბანკსა“ (ს/ნ 204854595) და **თიბისი კაპიტალში** დასაქმებულ პირებს, მათ შორის მათ, ვინც დასაქმდება **კამპანიის** მიმდინარეობის პერიოდში, მიუხედავად მათი შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის ფორმისა (მათ შორის, თუმცა არა მხოლოდ უვადო ან ვადიანი შრომითი ხელშეკრულება, გამოსაცდელი ვადა, სტაჟირება ან ნებისმიერი სხვა ტიპის შეთანხმება, რომელიც უთანაბრდება შრომით ურთიერთობას).

3.10 **Welcome Bonus-ის** გადაცემა წარმოადგენს **თიბისი კაპიტალის** ექსკლუზიურ დისკრეციულ უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას. **თიბისი კაპიტალი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, თავად და დამოუკიდებლად, ნებისმიერ დროს, ყოველგვარი დამატებითი დასაბუთებისა თუ წინასწარი შეტყობინების გარეშე, განსაზღვროს **Welcome Bonus-ის** მიმღებ პირთა წრე, შეცვალოს გაცემის პირობები ან/და ცალმხრივად

შეწყვიტოს/შეზღუდოს **Welcome Bonus-ის** გაცემა. აღნიშნული მოქმედებს მიუხედავად იმისა, რომ მონაწილეს მიღებული აქვს დასტური **კამპანიაში** ჩართვაზე ან/და სრულად აქვს დაკმაყოფილებული წინამდებარე **წესებით** გათვალისწინებული პირობები. **კამპანიაში** ჩართვის დადასტურება ან/და პირობების შესრულება ავტომატურად არ წარმოშობს **თიბისი კაპიტალის** ვალდებულებას **Welcome Bonus-ის** გადაცემაზე და მონაწილეს არ ანიჭებს **Welcome Bonus-ის** მიღების მოთხოვნის ან ამ საფუძვლით რაიმე სახის პრეტენზიის, მოთხოვნის ან/და დავის წამოყენების უფლებას.

4. რეგისტრაციის პროცესი

4.1 **კამპანიაში** მონაწილეობის მისაღებად მონაწილემ **კამპანიაში ჩართვის პერიოდის** განმავლობაში უნდა გაიაროს რეგისტრაცია **ელექტრონული ფორმის** მეშვეობით და ამავე პერიოდში, **ელექტრონული ფორმით** რეგისტრაციის შემდგომ უზრუნველყოს საინვესტიციო ანგარიშზე შესაბამისი აქტივების (ფულადი სახსრების ან/და ფინანსური ინსტრუმენტების) განთავსება წინამდებარე **წესების** მე-3 მუხლის შესაბამისად.

4.2 რეგისტრაციისას მონაწილე ვალდებულია **ელექტრონულ ფორმაში** სრულყოფილად მიუთითოს შესაბამისი ინფორმაცია, მათ შორის: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი. ამასთან, მონაწილე ვალდებულია **ელექტრონულ ფორმაში** მიუთითოს საინვესტიციო ანგარიშზე აქტივების განთავსების სასურველი ფორმა: ფულადი სახსრების განთავსება ან სხვა ფინანსური ინსტიტუტისგან ფინანსური ინსტრუმენტების გადმოტანა/ტრანსფერი.

4.3 რეგისტრაციისას მონაწილე ეთანხმება და ადასტურებს:

- მისი პერსონალური მონაცემები დამუშავდება **კამპანიის** მიზნებისათვის, **წესების** მე-8 მუხლით განსაზღვრული პირობებისა და წესის შესაბამისად;
- წინამდებარე **წესებით** გათვალისწინებულ პირობებს/ვალდებულებებს.

4.4 კამპანიის ფარგლებში **თიბისი კაპიტალსა** და მონაწილეს შორის კომუნიკაცია განხორციელდება წინამდებარე **წესების** 4.2 პუნქტის შესაბამისად რეგისტრაციისას მითითებული ელექტრონული ფოსტის ან ტელეფონის ნომრის მეშვეობით. მონაწილე თავად არის პასუხისმგებელი მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართისა და ტელეფონის ნომრის სისწორეზე, სისრულესა და მასზე წვდომაზე.

4.5 **კამპანიაში ჩართვის პერიოდის** დასრულების შემდეგ, 2026 წლის 30 სექტემბრიდან 2026 წლის 05 ოქტომბრის ჩათვლით, **თიბისი კაპიტალი** გადაამოწმებს რეგისტრირებული მონაწილის მონაცემებს წინამდებარე **წესებით** დადგენილ პირობებთან შესაბამისობაზე. **კამპანიაში** მონაწილეობის დასტური (შესაბამისი შეტყობინება) გაეგზავნებათ მხოლოდ იმ მონაწილეებს, რომლებიც სრულად აკმაყოფილებენ წინამდებარე **წესებით** დადგენილ კრიტერიუმებსა და პირობებს. შეტყობინება გაიგზავნება **წესების** 4.2 პუნქტის შესაბამისად რეგისტრაციისას დაფიქსირებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე ან ტელეფონის ნომერზე. შეტყობინების არმიღება ნიშნავს, რომ პირი ვერ აკმაყოფილებს **კამპანიის წესებს** და მასში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

4.6 წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე პირობის შეუსრულებლობა, მონაცემების არასრულყოფილად მითითება ან/და 4.3 პუნქტით განსაზღვრულ პირობებზე უარის თქმა/არ დათანხმება, ავტომატურად გამორიცხავს მონაწილის მონაწილეობას **კამპანიაში**. **თიბისი კაპიტალი** იტოვებს უფლებას, ყოველგვარი დამატებითი დასაბუთების

გარეშე, არ დაუშვას **კამპანიაში** ის მონაწილე, რომლის მიერ წარმოდგენილი მონაცემებიც მცდარია, არასრულია ან/და არ შეესაბამება **კამპანიის** მოთხოვნებს.

5. ქეშბექი და Welcome Bonus

5.1 **კამპანიის** ფარგლებში მონაწილეს, რომელიც სრულად აკმაყოფილებს წინამდებარე **წესებით** განსაზღვრულ პირობებს, დაუბრუნდება **თიბისი მობაილბანკის ინვესტიციების პლატფორმაზე** აშშ-ის ბაზარზე 2026 წლის 01 ოქტომბრის 00:00 საათიდან 2026 წლის 31 დეკემბრის 23:59 საათის ჩათვლით (**ქეშბექის დათვლის პერიოდი**) განხორციელებულ შესაბამის ტრანზაქციებთან დაკავშირებით დარიცხული და მონაწილის მიერ გადახდილი საკომისიოების 100% (**ქეშბექი**).

5.2 **ქეშბექის** დათვლისას გათვალისწინებული იქნება მხოლოდ **ქეშბექის დათვლის პერიოდში** აშშ-ის ბაზარზე განხორციელებულ ტრანზაქციებთან დაკავშირებით მონაწილისთვის დარიცხული და მის მიერ გადახდილი შესაბამისი საკომისიოები.

5.3 **<u>ქეშბექის დათვლისას არ გაითვალისწინება:</u>**

5.3.1 $5 (ხუთი აშშ დოლარი) ან ნაკლები საბაზრო ღირებულების მქონე ფინანსური ინსტრუმენტებით (Penny Stocks) განხორციელებულ ტრანზაქციებთან დაკავშირებული საკომისიოები;

5.3.2 დიდი ბრიტანეთის ბაზარზე განხორციელებულ ოპერაციებთან/ტრანზაქციებთან დაკავშირებული საკომისიოები;

5.3.3 დიდი ბრიტანეთის ბაზრის საინვესტიციო ანგარიშთან დაკავშირებული ოპერაციები და საკომისიოები;

5.3.4 სმარტ პორტფელის ფარგლებში განხორციელებულ ოპერაციებთან/ტრანზაქციებთან დაკავშირებული საკომისიოები;

5.3.5 ნებისმიერი გადასახადი, მოსაკრებელი, ხარჯი ან სხვა თანხა, რომელიც არ წარმოადგენს წინამდებარე მუხლით გათვალისწინებულ შესაბამის საკომისიოს.

5.4 **ქეშბექის** საბოლოო ოდენობა განისაზღვრება **ქეშბექის დათვლის პერიოდის** დასრულების შემდეგ, **თიბისი კაპიტალის** შესაბამის სისტემებში ასახული მონაცემების საფუძველზე. **ქეშბექი** მონაწილეს ჩაერიცხება ერთიანი თანხის სახით, არაუგვიანეს 2027 წლის 15 იანვრისა **თიბისი მობაილბანკის ინვესტიციების პლატფორმაზე** აშშ-ის ბაზარზე არსებულ შესაბამის საინვესტიციო ანგარიშზე.

5.5 წინამდებარე **წესების** შესაბამისად გათვალისწინებული **ქეშბექის** გარდა, **თიბისი კაპიტალი** უფლებამოსილია მონაწილეს გადასცეს ერთჯერადი **Welcome Bonus**, რომლის ოდენობა განისაზღვრება **კამპანიაში ჩართვის პერიოდში** მონაწილის აშშ-ის ბაზრის შესაბამის საინვესტიციო ანგარიშზე წინამდებარე **წესების** შესაბამისად დაფიქსირებული ფაქტობრივი ნაშთის ან/და ფინანსური ინსტრუმენტების საბაზრო ღირებულების შესაბამისად.

5.6 **Welcome Bonus-ის** ოდენობა განისაზღვრება შემდეგი წესით:

საინვესტიციო ანგარიშზე დაფიქსირებული ნაშთი ან/და საბაზრო ღირებულება	**Welcome Bonus-ის ოდენობა**
10,000 აშშ დოლარიდან 50,000 აშშ დოლარის ჩათვლით	50 აშშ დოლარი
50,000 აშშ დოლარზე მეტიდან 100,000 აშშ დოლარის ჩათვლით	100 აშშ დოლარი

100,000 აშშ დოლარზე მეტიდან 250,000 აშშ დოლარის ჩათვლით	200 აშშ დოლარი
250,000 აშშ დოლარზე მეტი	500 აშშ დოლარი

5.7 **Welcome Bonus-ის** ოდენობის განსაზღვრის მიზნით მხედველობაში მიიღება **ჩართვის პერიოდის დასრულების** მომენტისთვის (2026 წლის 30 სექტემბრის 23:59 საათის მდგომარეობით) მონაწილის აშშ-ის ბაზარზე არსებულ შესაბამის საინვესტიციო ანგარიშზე დაფიქსირებული ფაქტობრივი ნაშთი ან/და ფინანსური ინსტრუმენტების საბაზრო ღირებულება.

5.8 **Welcome Bonus-ის** ოდენობის განსაზღვრისას საინვესტიციო ანგარიშზე არსებული ნაშთი ან/და ფინანსური ინსტრუმენტების საბაზრო ღირებულება დადგინდება **თიბისი კაპიტალის** მიერ ერთპიროვნულად და დამოუკიდებლად, შესაბამის სისტემებში ასახული მონაცემების საფუძველზე.

5.9 **Welcome Bonus** მონაწილეს ჩაერიცხება ერთჯერადად, არაუგვიანეს 2026 წლის 15 ოქტომბრისა, მის **თიბისი მობაილბანკის ინვესტიციების პლატფორმაზე** აშშ-ის ბაზარზე არსებულ შესაბამის საინვესტიციო ანგარიშზე.

5.10 **Welcome Bonus-ის** ჩარიცხვის შემდეგ მონაწილე ვალდებულია შეინარჩუნოს **Welcome Bonus-ის** ოდენობის განსაზღვრის საფუძვლად გამოყენებული ფულადი სახსრები ან/და ფინანსური ინსტრუმენტები შესაბამის საინვესტიციო ანგარიშზე 2026 წლის 31 დეკემბრის 23:59 საათის ჩათვლით და არ განახორციელოს მათი სრულად ან ნაწილობრივ გატანა, გადატანა ან/და ტრანსფერი. იმ შემთხვევაში, თუ მონაწილე **Welcome Bonus-ის** ჩარიცხვის შემდეგ განახორციელებს აღნიშნული ფულადი სახსრების ან/და ფინანსური ინსტრუმენტების სრულად ან ნაწილობრივ გატანას, გადატანას ან/და ტრანსფერს, **თიბისი კაპიტალი** უფლებამოსილია, თავად და დამოუკიდებლად, ყოველგვარი დამატებითი შეტყობინების გარეშე, გააუქმოს ჩარიცხული **Welcome Bonus** და შესაბამისი თანხა დაქვითოს მონაწილის საინვესტიციო ანგარიშზე არსებული ან შემდგომში ჩარიცხული თანხებიდან ან/და მოითხოვოს მონაწილისგან მისი დაბრუნება.

5.11 **კამპანიის** პერიოდში მონაწილის საინვესტიციო ანგარიშზე არსებული ბალანსის ან/და ფინანსური ინსტრუმენტების საბაზრო ღირებულების მონიტორინგი განხორციელდება პერიოდულად, წინამდებარე **წესებით** განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემოწმების მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ მონიტორინგის შედეგად გამოვლინდება, რომ მონაწილე აღარ აკმაყოფილებს წინამდებარე **წესებით** განსაზღვრულ შესაბამის მოთხოვნას, **თიბისი კაპიტალი** უფლებამოსილია საკუთარი დისკრეციისამებრ, ერთპიროვნულად და დამოუკიდებლად, გამოიყენოს წინამდებარე **წესების** 9.3 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ მონიტორინგის შედეგად გამოვლინდება, რომ მონაწილემ დაარღვია 3.4 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, იგი კარგავს **ქეშბექის** მიღების უფლებას მთელი **ქეშბექის** დათვლის პერიოდისათვის, მათ შორის იმ პერიოდისათვის, რომლის განმავლობაშიც იგი მანამდე აკმაყოფილებდა წინამდებარე **წესებით** დადგენილ პირობებს.

5.12 **ქეშბექისა** და **Welcome Bonus-ის** ჩარიცხვა განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი თანხის ჩარიცხვის მომენტისთვის მონაწილის საინვესტიციო ანგარიში არ არის დახურული და საინვესტიციო მომსახურება არ არის შეჩერებული ან შეწყვეტილი.

5.13 იმ შემთხვევაში, თუ **ქეშბექის** ან/და **Welcome Bonus-ის** მონაწილისათვის ჩარიცხვის შემდგომ გამოვლინდა, რომ მონაწილე შესაბამისი **ქეშბექის** ან/და **Welcome Bonus-ის** მიღების მომენტისთვის არ აკმაყოფილებდა წინამდებარე **წესებით** დადგენილ პირობებს ან დაარღვია აღნიშნული პირობები, **თიბისი კაპიტალი** უფლებამოსილია გააუქმოს შესაბამისი **ქეშბექი** ან/და **Welcome Bonus** და მოითხოვოს მონაწილისგან შესაბამისი თანხის დაბრუნება ან დაქვითოს მონაწილის საინვესტიციო ანგარიშზე არსებული ან შემდგომში ჩარიცხული თანხებიდან.

5.14 იმ შემთხვევაში, თუ **ქეშბექის დათვლის პერიოდში** ან/და **ქეშბექის** ან/და **Welcome Bonus-ის** ჩარიცხვის მომენტისთვის მონაწილის საინვესტიციო ანგარიშზე დაფიქსირდება უარყოფითი ბალანსი, **თიბისი კაპიტალი** უფლებამოსილია, თავად და დამოუკიდებლად, საკუთარი შეხედულებისამებრ, გადასაცემი **ქეშბექის** ან/და **Welcome Bonus-ის** ოდენობიდან დაქვითოს შესაბამისი უარყოფითი ბალანსი (დავალიანება) ან/და აღნიშნული დავალიანების პროპორციულად შეამციროს ან გააუქმოს გადასაცემი **ქეშბექის** ან/და **Welcome Bonus-ის** ოდენობა.

6. პასუხისმგებლობა

6.1 **თიბისი კაპიტალი** არ არის პასუხისმგებელი დამდგარი შედეგისათვის, რომელიც მოიცავს პირდაპირ, არაპირდაპირ, სპეციალურ, შემთხვევით, მიზეზ-შედეგობრივ ზიანს, რაც გამოწვეულია **კამპანიის** ან/და შესაბამისი ფინანსური ინსტრუმენტების ან/და ფულადი სახსრების არამართლზომიერი გამოყენებით და წინამდებარე **წესების** დარღვევით.

6.2 მონაწილე **წესებზე** დათანხმებით აცნობიერებს და ადასტურებს, რომ **თიბისი კაპიტალს** არ ეკისრება პასუხისმგებლობა რაიმე პირდაპირ ან არაპირდაპირ ზარალზე, რომელიც გამოწვეულია ტექნიკური, საოპერაციო ან საკომუნიკაციო შეფერხებებით (მათ შორის, დამოუკიდებელი ბროკერის, DriveWealth LLC-ის სისტემების მიერ), აგრეთვე ზიანზე/ზარალზე, რომელიც გამოწვეულია მონაწილის პროგრამული უზრუნველყოფის ან მობაილ ბანკის ვერსიის გამოყენებით, რომელიც არ არის განახლებული უახლესი ხელმისაწვდომი ვერსიით.

6.3 მონაწილე **წესებზე** დათანხმებით აცნობიერებს და ადასტურებს, რომ ფინანსური ინსტრუმენტებისა და მათი ფასების შესახებ ინფორმაცია მოწოდებულია დამოუკიდებელი ბროკერის, DriveWealth LLC-ის მიერ და **თიბისი კაპიტალი** არ იღებს პასუხისმგებლობას მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სიზუსტეზე.

6.4 მონაწილე აცნობიერებს და ადასტურებს, რომ **კამპანია** არ წარმოადგენს **თიბისი კაპიტალის** მხრიდან გაცემულ საინვესტიციო, იურიდიულ, ფინანსურ ან სხვა სახის რჩევას, რეკომენდაციას, შეთავაზებას, ოფერტს, მოწვევას ოფერტზე ან მოწოდებას ინვესტირებისკენ. **თიბისი კაპიტალი** პასუხისმგებლობას არ იღებს არსებულ ან/და მომავალ ფინანსურ შედეგებზე. ნებისმიერ გადაწყვეტილებას ინვესტიციის განხორციელების შესახებ მონაწილე იღებს დამოუკიდებლად.

7. მონაწილის დისკვალიფიკაცია

7.1 **თიბისი კაპიტალი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, **კამპანიის** ნებისმიერ ეტაპზე, მათ შორის **კამპანიის** დასრულების შემდგომ, წინამდებარე **წესებით** გათვალისწინებული პირობების დარღვევის, მონაწილე პირის მიერ არასწორი, არასრული ან/და მცდარი ინფორმაციის წარმოდგენის ან სხვა საფუძვლით, შეუწყვიტოს ან შეუზღუდოს მონაწილეს **კამპანიაში** მონაწილეობა (მოახდინოს მისი დისკვალიფიკაცია), ყოველგვარი

დამატებითი შეტყობინების, დასაბუთების და განმარტების წარდგენის ვალდებულების გარეშე.

7.2 **თიბისი კაპიტალის** მიერ წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული დისკვალიფიკაციის უფლების გამოყენების შემთხვევაში, დისკვალიფიცირებულ მონაწილეს არ წარმოეშობა **ქეშბექისა** და **Welcome Bonus-ის** მიღების უფლება, მიუხედავად **კამპანიის** ეტაპისა და მონაწილეს არ წარმოეშობა უფლება მოითხოვოს **კამპანიის** ფარგლებში დაფიქსირებული შედეგების აღიარება ან/და რაიმე სახის კომპენსაცია.

8. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

8.1 **კამპანიაში** მონაწილეობით, მონაწილე გამოხატავს თანხმობას, რომ **თიბისი კაპიტალმა** და სს „თიბისი ბანკმა“ (ს/ნ 204854595) დაამუშაონ **წესების** 4.1 პუნქტში მითითებულ სარეგისტრაციო ფორმაში მითითებული და **თიბისი მობაილბანკის საინვესტიციო პლატფორმაზე** რეგისტრაციის მიზნით მოპოვებული პერსონალური მონაცემები **კამპანიაში** მონაწილეობისა და ადმინისტრირების მიზნით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

8.2 მონაწილეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოითხოვოს ინფორმაცია მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ ან დააფიქსიროს მოთხოვნა მონაცემთა დამუშავების შეწყვეტასთან დაკავშირებით შემდეგი საკომუნიკაციო არხების მეშვეობით:

- ტელეფონის ნომერი: +995 322 27 27 97; ან
- ელ-ფოსტა: info@tbccapital.ge

9. სხვა პირობები

9.1 წინამდებარე **წესები** რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობითა და მონაწილესა და **თიბისი კაპიტალს** შორის გაფორმებული „თიბისი კაპიტალის ინვესტიციების გენერალური ხელშეკრულებით“.

9.2 მონაწილე ვალდებულია **კამპანიაში** არ ჩაერთოს ან/და შესაბამისი ფინანსური ინსტრუმენტები ან/და ფულადი სახსრები არ გამოიყენოს კანონსაწინააღმდეგო, თაღლითური ან/და **თიბისი კაპიტალისათვის** ზიანის მომტანი მიზნებისთვის.

9.3 **თიბისი კაპიტალი** იტოვებს ცალმხრივ, დისკრეციულ და უპირობო უფლებას, საკუთარი შეხედულებისამებრ, დასაბუთებისა და საფუძვლის მითითების ვალდებულების გარეშე **თიბისი კაპიტალის** შიდა პროცედურების, პოლიტიკის ან/და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე - შეუჩეროს, შეუზღუდოს ან შეუწყვიტოს მონაწილეს **კამპანიაში** მონაწილეობა, თუ **თიბისი კაპიტალი** ჩათვლის, რომ მონაწილე არღვევს **კამპანიის წესებს**, საქართველოს კანონმდებლობას ან/და მისი ქმედება ზიანს აყენებს **თიბისი კაპიტალს**.

9.4 მონაწილეს არ აქვს უფლება მოსთხოვოს **თიბისი კაპიტალს** ზიანის ან/და ზარალის ანაზღაურება იმ შემთხვევაში, თუ მან ვერ მიიღო წინამდებარე **წესებით** გათვალისწინებული **ქეშბექი** ან/და **Welcome Bonus**, მათ შორის, ტექნიკური შეფერხების, წინამდებარე **წესებით** დადგენილი პირობების შეუსრულებლობის ან დარღვევის, დისკვალიფიკაციის ან **კამპანიასთან** დაკავშირებული ნებისმიერი სხვა მიზეზის გამო.

9.5 **თიბისი კაპიტალი** იტოვებს ცალმხრივ და უპირობო უფლებას, თავად და დამოუკიდებლად ნებისმიერ დროს შეცვალოს **წესები**, ხოლო მონაწილე ვალდებულია მუდმივად იცავდეს ზემოაღნიშნულს.